არტ დაირექშენი

ლექტორი

ანნა გუგუტიშვილი

კურსის დრო

9 შეხვედრა (27 საათი)

სასწავლო კურსის მიზნები

კურსის მიზანია სტუდენტებმა დაინახონ მეტი შესაძლებლობა დიზაინის შექმნის პროცესში, აიმაღლონ კრეატიული ფიქრის უნარი და უფრო ნათლად და ორგანიზებულად შეძლონ გაუძღვნენ სხვადასხვა სირთულის დიზაინ პროცესებს, როგორც მარტო, ასევე გუნდთან მუშაობის დროს. კურსის განმავლობაში სტუდენტებს ექნებათ საშუალება საკუთარ თავზე მოირგონ არტ-დირექტორის როლი და გამოსცადონ პრაქტიკაში საკუთარი შესაძლებლობები.

სასწავლო კურსის შინაარსი

ლექცია 1: რა არის არტ-დაირექშენი

- არტ-დაირექშენი/ბრენდინგი/გრაფიკული დიზაინი
- არტ დირექტორის როლი დღევანდელობაში
- რეალური ქეისების განხილვა
- ბრიფზე მუშაობა

ლექცია 2: დიზაინის შექმნის პროცესი: კვლევა და მუდბორდი

- ინსპირაცია და კვლევა პინტერესტის მიღმა
- იდეის ჩამოყალიბების ტექნიკები
- მუდბორდის საჭიროება დიზაინის შექმნის პროცესში
- სიტყვები > განწყობა > სტრუქტურა
- კონცეფციის ვიზუალურად გამოხატვა

ლექცია 3: დიზაინის შექმნის პროცესი: ლოგო, ფორმები და სტილისტიკა

- ლოგო, ფერები, ტიპოგრაფია - ხასიათი და სტილი
- მიმართულების არჩევა
- ლოგოს ჩანახატები

ლექცია 4: ვიზუალური სტილი

- ლოგოს დამუშავება

- გრაფიკული ელემენტები
- ბრენდის ვიზუალური მიმართულება

ლექცია 5: ვიზუალური სისტემის მოქნილობა

- ბრენდინგი, კამპანიები, ციფრული არხები, შეფუთვა
- პლატფორმებზე მორგებული ფიქრი
- ვიზუალური სისტემის გამართვა

ლექცია 6: კომუნიკაცია და გუნდთან მუშაობა

- ვიზუალების ადაპტაცია
- ბრიფის შედგენა დიზაინ გუნდისთვის
- ფიდბექის მიცემა

ლექცია 7: ბრენდბუქი

- დიზაინის გადაქცევა ინსტრუქციად
- ბრენდის ვიზუალური გაიდლაინების მომზადების პრინციპები
- წესების ჩამოყალიბება

ლექცია 8: რეალური მასალის ფოტო-გადაღება

- მოქაფების მომზადება
- რეალური იმიჯების გადაღება
- პროდუქტის შექმნა

ლექცია 9: ფინალური პროექტი

- პრეზენტაცია
- ბრენდბუქის ფინალური გამართვა
- ნასწავლი მასალის შეჯამება

სასწავლო კურსის სწავლის შედეგები

კურსის მსმენელები შეძლებენ:

- არტ დირექტორის როლის, პასუხისმგებლობებისა და სამუშაო პროცესის გაგებას რეალურ ქეისებზე დაყრდნობით;

- დიზაინის პროცესზე მუშაობას ბრიფიდან საბოლოო შედეგამდე;
- ბრიფის ანალიზს, კვლევის ჩატარებასა და ინსპირაციის სწორად მოძიებას;
- იდეის ჩამოყალიბებას სხვადასხვა კონცეპტუალური ტექნიკის გამოყენებით;
- მუდბორდის შექმნასა და კონცეფციის ვიზუალურად გადმოცემას;
- ბრენდის ხასიათისა და განწყობის ვიზუალურ სისტემად გადაქცევას;
- ლოგოს მიმართულების შერჩევასა და ლოგოს დამუშავებას კონცეფციის შესაბამისად;
- სრული ვიზუალური იდენტობის ჩამოყალიბებას (ფერები, ტიპოგრაფია, გრაფიკული ელემენტები);
- ბრენდის ვიზუალურ ადაპტაციას სხვადასხვა პლატფორმასა და არხზე (ციფრული, კამპანია, UI/UX, შეფუთვა და სხვ.);
- დიზაინ გუნდისთვის ბრიფის სწორად შედგენას;
- გუნდთან მუშაობას, ფიდბექის მიცემასა და მიღებას;
- რეალურ ფოტომასალაზე მუშაობას, მოქაფების მომზადებასა და პროდუქტის ვიზუალურად შექმნას;
- ბრენდის ვიზუალური გაიდლაინებისა და ბრენდბუქის შექმნას;
- საბოლოო ბრენდ დოკუმენტის მომზადებასა და პრეზენტაციას;
- საკუთარი ნამუშევრის პროფესიულად წარდგენას და არგუმენტირებულ პრეზენტაციას.

სასწავლო კურსის მოთხოვნები

- სტუდენტს **აუცილებლად უნდა ჰქონდეს სამუშაო გამოცდილება** გრაფიკული დიზაინის მიმართულებით;
- უნდა ფლობდეს კარგად გრაფიკულ პროგრამებს, რათა შეძლოს სხვადასხვა სირთულის პრაქტიკული დავალებების შესრულება;
- ინგლისური ენის საბაზისო ცოდნა, რომ მარტივად გაერკვეს ინდუსტრიაში არსებულ ტერმინოლოგიაში.

ლექტორის შესახებ

- ანნა გუგუტიშვილი არის არტ დირექტორი, რომელსაც აქვს საერთაშორისო და ადგილობრივ პროექტებსა და კომპანიებთან მუშაობის 10+ წლიანი გამოცდილება;
- ის არის კანის ლომების კრეატიული ფესტივალის გამარჯვებული პრინტის კატეგორიაში;
- ანნას აქვს გამორჩეული ნამუშევრები სხვადასხვა პრინტ და ციფრულ მედიაში;
- ანნა გუგუტიშვილის პორტფოლიო.